

თბილისის 166-ე საჯარო სკოლის მე--9<sup>ე</sup> კლასის მოსწავლეთა ქცევის და  
საკლასო მენეჯმენტის გაუმჯობესების ხელშეწყობა

თამარ შალოშვილი ქეთევან თოდუა ლაშა ჩხარტიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ბრეგვაძე(ასოცირებული პროფესორი)

## აბსტრაქტი

საკლასო მენეჯმენტი კვლავ რჩება სასკოლო განათლების მნიშვნელოვან გამოწვევად. პედაგოგები საკლასო ოთახში ხშირად აწყდებიან დისციპლინარულ პრობლემებს და ქცევის მართვასთან დაკავშირებულ წინააღმდეგობებს. 166-ე საჯარო სკოლაში განხორციელებული პრაქტიკული კვლევა, სწორედ საკლასო მენეჯმენტის გამოწვევებს და მოსწავლეების ქცევის მართვას ეხება. სკოლის საზოგადოების გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში საკლასო მენეჯმენტი მწვავე პრობლემაა. მასწავლებლები ხშირად უჩივიან საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების მხრიდან უყურადღებობას და გაკვეთილის ჩაშლის მცდელობებს. სკოლის პედაგოგების და ადმინისტრაციის საერთო შეთანხმებით კვლევის განხორციელება გადაწყდა მე-9<sup>1</sup> კლასში. აღნიშნული კლასის მოსწავლეები გამოირჩევიან საშუალო აკადემიური მოსწრებით, მაგრამ კლასის მასწავლებლებს უჭირთ მათი ქცევის მართვა.

ნაშრომი დეტალურად აღწერს სკოლაში განხორციელებული კვლევის პროცესს. მასში მოცემულია ინფორმაცია საკვლევი საკითხის აქტუალობის შესახებ, ასევე კვლევის მიზნები და ამოცანები. პირველ თავში განხილულია კლასის მართვასთან დაკავშირებული თეორიები და მკვლევარების მოსაზრებები საკლასო მენეჯმენტთან დაკავშირებით. მეორე თავში მოცემულია კვლევის მეთოდოლოგია, რომელშიც განხილულია კვლევასთან დაკავშირებული შეზღუდვები და მონაცემთა შეგროვების მეთოდები და მოცემულია კვლევის დიზაინი. მესამე თავი მოიცავს ინფორმაციას, კვლევის ეტაპების და ძირითადი შედეგების, ასევე პრობლემის იდენტიფიცირების და საკვლევი ჯგუფის შერჩევის შესახებ. მეოთხე თავი მოიცავს სკოლაში დაგეგმილ და განხორციელებულ ცვლილებებს, ინტერვენციის შეფასებას. მეხუთე თავში კი განხილულია კვლევის შედეგად გაკეთებული დასკვნები და რეკომენდაციები.